08/01/2026

MES 1 26 0000002989

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საბჭოს თარიღი: 18.12.2025 წ;
სხდომის დაწყების დრო: 10:00 სთ;
სხდომის დასრულების დრო: 19:50 სთ;
საბჭოს თავმჯდომარე - ეკატერინე ლეჟავა;
საბჭოს მდივანი - თამარ ჩიკვილაძე.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1.ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭოს) წევრები:

ეკატერინე ლეჟავა - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;
ნატო შეროზია - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამარ ჩიკვილაძე - ა(ა)იპ - კერძო ბაგა-ბაღების ასოციაციის წევრი, შპს ცეროდენას დირექტორი - საბჭოს მდივანი;
ნინო ლაბარტყავა - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი, საბჭოს წევრი;
თეა ბაქრაძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, საბჭოს წევრი;
მაკა მაისურაძე - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის სურსათით ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსო, საბჭოს წევრი;
მარინე ბაიდაური - საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;
ნინო გიუაშვილი - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სახელმწიფო პროგრამის -

„დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა“ გარემოს ჯანმრთელობის საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობის სპეციალისტი, საბჭოს წევრი;
რონა პერტია - სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს წევრი;
ნათელა ლურსმანაშვილი - ა(ა)იპ - ქალაქ თბილისის №15 საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელი;
ნანა ათუაშვილი - ა(ა)იპ - კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრის დირექტორი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

მარი მიქაუტიძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი/სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
თეა ცერცვაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნინო დვალიშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
სოფიკო მიქაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო კაპანაძე - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ცირა თარალაშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
თამარ ქევხიშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
გოგა პარუნაშვილი - ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების წარმომადგენლები:

1. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება:
ზოია ლელაძე - მმართველი;
ჟუჟუნა კუსიანი - გაერთიანების მთავარი სპეციალისტი სასწავლო აღმზრდელობით დარგში (მეთოდისტი)
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ქალაქის N7 საბავშვო ბაღი:
ხათუნა მაცაბერიძე - სტრუქტურული ერთეულის უფროსი;
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N12 საბავშვო ბაღი:
ნუნუ კვახაჭელიძე - სტრუქტურული ერთეულის უფროსი;
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრაწყაროს N18 საბავშვო ბაღი:
თამარ კახელი - სტრუქტურული ერთეულის უფროსი;
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის N33 საბავშვო ბაღი:
ქეთევან კიკნაძე - სტრუქტურული ერთეულის უფროსი;
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სექტორი ქვედა საქარა, სოფელი ჭალატყე, N35-ე საბავშვო ბაღი:

თამარ შველიძე - სტრუქტურული ერთეულის უფროსი;
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N37-ე საბავშვო ბაღი:
ლილე სამხარაძე - სტრუქტურული ერთეულის უფროსი.

ზესტაფონის მერია:
ნინო ჭაბუკიანი - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე.

2. ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება:
ნონა დავითაშვილი - დირექტორი;
ყვარლის N2 ბაგა - ბაღი:
ნანა ცისკარიშვილი - მენეჯერი;
ყვარლის N3 ბაგა - ბაღი:
მარი ხარებაშვილი - მენეჯერი;
შილდის N2 ბაგა - ბაღი
თამარ მიჩილაშვილი - მენეჯერი.

3. ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება:
თინათინ ბეგიაშვილი - გაერთიანების ხელმძღვანელი;
სოფელი ბოდბის №23 ფილიალი:
ნინო მჭედლიშვილი - დირექტორი;
სოფელ ჯუგაანის №11 ფილიალი:
ელენე იასეშვილი - დირექტორი
სოფელ ბოდბისხევის №9 საბავშვო ბაღი:
ელიზავეტა შაიშმელაშვილი - დირექტორი

4. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი:
მაკა წერეთელი - დირექტორი
ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N2 განყოფილება:
ნანა გეგეშიძე - საბავშვო ბაღის მენეჯერი;
ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N5 განყოფილება:
ლიანა კაპანაძე - საბავშვო ბაღის მენეჯერი;
ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N3 განყოფილება:
დარეჯან იაკობაშვილი - საბავშვო ბაღის მენეჯერი;
ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N12 განყოფილება:
ირმა ბარათაშვილი - საბავშვო ბაღის მენეჯერი.

4. ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება
(ქალაქის N7 საბავშვო ბაღი):
ნინო ბენდელიანი- ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
სოფიო გოცირიძე- კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
გიორგი ხუციშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
მანანა ჭიჭინაძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება

(სოფელ მეორე სვირის N12 საბავშვო ბაღი):
ნინო ბენდელიანი- ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
სოფიო გოცირიძე- კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
გიორგი ხუციშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
მანანა ჭიჭინაძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება
(სოფელ ცხრაწყაროს N18 საბავშვო ბაღი):
ნინო ბენდელიანი- ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
სოფიო გოცირიძე- კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
გიორგი ხუციშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
მანანა ჭიჭინაძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება
(სოფელ ქვედა საქარის N33 საბავშვო ბაღი):
სალომე აბდალაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
მარეხი ნიკოლაძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
გიორგი ხუციშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
მანანა ჭიჭინაძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება
(სექტორი ქვედა საქარა, სოფელი ჭალატყე, N35-ე საბავშვო ბაღი):
სალომე აბდალაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
მარეხი ნიკოლაძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
გიორგი ხუციშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
მანანა ჭიჭინაძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება
(სოფელ ქვედა საზანოს N37-ე საბავშვო ბაღი):
სალომე აბდალაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
მარეხი ნიკოლაძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
გიორგი ხუციშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
მანანა ჭიჭინაძე - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება (ყვარლის N2 ბაგა - ბაღი):
ნინო ავსაჯანიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე
თინათინ თოიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
რუსუდან აჩელაშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
იანა გიორგაძე - სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმების ექსპერტი , წევრი;

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება (ყვარლის N3 ბაგა - ბაღი):
ნინო ავსაჯანიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
თინათინ თოიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;

რუსუდან აჩელაშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
იანა გიორგაძე - სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმების ექსპერტი , წევრი.

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება (სოფელ შილდის N2 ბაგა - ბაღი):
ნინო ავსაჯანიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
თინათინ თოიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
რუსუდან აჩელაშვილი - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
იანა გიორგაძე - სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმების ექსპერტი , წევრი.

ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება (სოფელი ბოდბის №23 ფილიალი):
მარიამ მარიამიძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ნათია მუნჯიშვილი - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
თეა კუჭუხიძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
მარიამ თურმანაული - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება (სოფელ ჯუგაანის №11 ფილიალი):
მარიამ მარიამიძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ნათია მუნჯიშვილი - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
თეა კუჭუხიძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
მარიამ თურმანაული - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება (სოფელ ბოდბისხევის №9 საბავშვო ბაღი):
მარიამ მარიამიძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
ნათია მუნჯიშვილი - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
თეა კუჭუხიძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
მარიამ თურმანაული - სანიტარული-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი.

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი (N2 განყოფილება):
მაკა ტუკვაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
სოფიო ჭუმბურიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ნინო მელიქიძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
ინგა კობახიძე - სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმების ექსპერტი , წევრი.

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი (N5 განყოფილება):
მაკა ტუკვაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
სოფიო ჭუმბურიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ნინო მელიქიძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
ინგა კობახიძე - სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმების ექსპერტი , წევრი.

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი (N3 განყოფილება):
ცირა ბრეგვაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
სოფიო გოცირიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ნინო მელიქიძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
ინგა კობახიძე - სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმების ექსპერტი , წევრი.

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი (N12 განყოფილება):
ცირა ბრეგვაძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე;
სოფიო გოცირიძე - კურიკულუმის ექსპერტი, წევრი;
ნინო მელიქიძე - კვების დარგში ექსპერტი, წევრი;
ინგა კობახიძე - სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმების ექსპერტი , წევრი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ (შემდგომში - დროებითი წესი) 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა. საბჭოს სხდომა 2025 წლის 18 დეკემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 10:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დროებითი წესის 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება ავტორიზაციის საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს აცნობა, სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დროებითი წესის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, ქალაქის N7 საბავშვო ბაღი; - დამატებითი განხილვა;
2. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N12 საბავშვო ბაღი; - დამატებითი განხილვა;
3. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრაწყაროს N18 საბავშვო ბაღი; - დამატებითი განხილვა;
4. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება -ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის N33 საბავშვო ბაღი; - დამატებითი განხილვა;
5. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის, ჭალატყე, N35-ე საბავშვო ბაღი. - დამატებითი განხილვა,
6. ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N37-ე საბავშვო ბაღი; - დამატებითი განხილვა,
7. ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება - ყვარლის №2 ბაგა-ბაღი;

8. ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება -ყვარლის №3 ბაგა-ბაღი;
9. ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება - სოფელ შილდის №2 ბაგა-ბაღი;
10. ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება - სოფელ ბოდბის №23 ფილიალი;
11. ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება - სოფელ ჯუგაანის №11 ფილიალი;
12. ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება - სოფელ ბოდბისხევის №9 საბავშვო ბაღი;
13. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი - N2 განყოფილება;
14. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი - N5 განყოფილება;
15. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი - N3 განყოფილება;
16. ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღი - N12 განყოფილება.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **არა**

დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე სახის შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

პირველი საკითხის მოსმენა:

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, ქალაქის N7 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის დამატებითი განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო ბენდელიანმა. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, ქალაქის N7 საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 07 და 08 ივლისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის

მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში"; 2. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში" სასკოლო მზაობის პროგრამა "თამაში". სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 85. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების სტატუსის მაძიებელს შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 45 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, ნინო ბენდელიანმა, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", მეორე სტანდარტში შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან". ხოლო მესამე და მეოთხე სტანდარტებში შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას. ექსპერტმა ასევე ისაუბრა ბაღის საუკეთესო გამოცდილებაზე: დაწესებულებას აქვს პოლონეთის პროექტის ფარგლებში შესაბამისი მასალითა და რესურსით აღჭურვილი სენსორული ოთახი, სადაც განთავსებულია მასალა სხვადასხვა სენსორული არხების განვითარებისათვის: ვიზუალური, აუდიალური, სმენითი, ტაქტილური.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელის მიერ 2025 წლის 08 დეკემბრის საბჭოს სხდომაზე დამატებით მოთხოვნილი მტკიცებულებები გაზიარებულ იქნა საბჭოსთვის. ასევე, აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ნინო ჭაბუკიანი და დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებულ ხარვეზებთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მხარდაჭერისა და ჩართულობის საკითხით.
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა დაადასტურა მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა და მზაობა ავტორიზაციის პროცესში ექსპერტთა ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული შეუსაბამობების აღმოფხვრის პროცესში, როგორც ინფრასტრუქტურული, ისე ადამიანური რესურსების კუთხით. მან განაცხადა, რომ დაწესებულებების სტატუსის მაძიებლების ნაწილს უკვე ადგილზე ეწვია და შეისწავლა არსებული გამოწვევები, ზოგიერთ მათგანზე უკვე დაწყებულია რეაგირება. მომდევნო წლის ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებულია საჭირო თანხა, რომლითაც შესაძლებელი იქნება დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებულ ვადებში ხარვეზების აღმოფხვრა.
ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ გააზიარა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი ფოტომასალა ამჟამინდელ მდგომარეობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ჯგუფური ოთახის იატაკი დაუყოვნებლივ ჩარევას საჭიროებს, დაზიანებიდან გამომდინარე, ჩნდება შთაბეჭდილება, რომ შეიძლება არასწორი მოვლაც იყოს ამის მიზეზი და დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პირი საჭიროებდეს გადამზადებას ამ კუთხით.
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ქალაქის N7 საბავშვო ბაღი ადგილზე დაათვალიერა. იატაკთან

დაკავშირებული ხარვეზის აღმოფხვრაზე უკვე დაწყებულია მუშაობა და გათვალისწინებული იქნება ყველა რეკომენდაცია. აღნიშნა, რომ ძალიან დიდი ძალისხმევა და შრომაა ჩადებული იმისთვის, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებლებმა მიიღონ ავტორიზაცია და გამოთქვა სურვილი მიეცეთ შანსი და მოტივაცია, რომ გააგრძელონ პროცესზე მუშაობა.
ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ მოთხოვნილ და ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდებულ ბავშვთა ზღვრულ რაოდენობაზე.
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოფხვრაზე უკვე დაწყებულია მუშაობა, ზოგი მათგანი უკვე აღმოფხვრილია, მაგალითად, დაწყებულია დროებითი გადანიშვნა და დამატებულია აღმზრდელები.
ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებული იმ საკითხებით, რომლებიც ტექნიკური ხარვეზის გამო იყო მითითებული და არარელევანტური იყო დაწესებულების სტატუსის მაძიებლისთვის.
გაერთიანების მმართველმა აღნიშნა, რომ ასეთი შემთხვევა იყო არტეზიულ ჭასთან და გეოლოგიურ დასკვნასთან დაკავშირებით.
სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექპერტმა დამატებით განმარტა, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, მხოლოდ ქალაქის მე-7 ბაღს აქვს ცენტრალური კანალიზაცია და წყალმომარაგება, რაც დადებითად შეფასებულ საკითხებში იყო გაწერილი. ვინაიდან ყველა ბაღი ერთი გაწერილი მექანიზმით სარგებლობს, ამან გამოიწვია ტექნიკური ხარვეზი. რეალურად, ამ კუთხით, აღნიშნულ ბაღს გამოწვევა არ აქვს.

საბჭოს წევრი, თამარ ჩიკვილაძე, დაინტერესდა დროებითი კადრების სამომავლო ჩანაცვლების საკითხით.
გაერთიანების მმართველმა განმარტა, რომ დროებითი კადრები აუცილებლად ჩანაცვლდება შესაბამისი კადრებით.
საბჭოს წევრი, ნანა ათუაშვილი, დაინტერესდა 2026 წლის ბიუჯეტში დაწესებულების სტატუსის მაძიებელთან დაკავშირებით გათვალისწინებული პრიორიტეტული საკითხებით.
ზესტაფონის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელმა, ამ ეტაპზე, პრიორიტეტად დაასახელა ინფრასტრუქტურასთან, კომპიუტერულ ტექნიკასთან, სველ წერტილებთან, ავეჯთან დაკავშირებული გამოწვევები.
გაერთიანების მმართველმა დაამატა მდგრადობასთან, საგანგებო სიტუაციების მართვასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო -10:53
დასრულების დრო - 11:02

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, ქალაქის N7 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 85-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებას (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, ქალაქის N7 საბავშვო ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 85-ით.

საბჭომ ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 27 სექტემბრისა. საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით აღნიშნა, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში არის ტექნიკური ხარვეზები, კერძოდ, გეოლოგიურ დასკვნასთან და არტეზიულ ჭასთან დაკავშირებით, რომელიც არ ეხება ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, ქალაქის N7 საბავშვო ბაღს.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N12 საბავშვო ბაღი) ავტ ორიზაციის საკითხის დამატებითი განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო ბენდელიანმა. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N12 საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 09 და 10 ივლისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1.ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში"; სასკოლო მზაობის პროგრამა "თამაში". სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 40. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების სტატუსის მაძიებელს შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 30 ბავშვისთვის. ასევე, ექსპერტმა აღნიშნა რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ფიქსირდება ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, მოთხოვნილი ადგილების ზღვრული რაოდენობის გრაფაში მითითებულია 45, ნაცვლად - 40-სა.

ექსპერტმა, ნინო ბენდელიანმა, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", მეორე სტანდარტში შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან". ხოლო მესამე და მეოთხე სტანდარტებში შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს".

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ გააზიარა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი პრეზენტაცია ამჟამინდელ მდგომარეობასთან დაკავშირებით და დაინტერესდა აღმზრდელები/აღმზრდელ-პედაგოგების მიერ აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების 66 საათიანი ტრენინგ-მოდულის საკითხით.

ექსპერტთა თავმჯდომარემ, განმარტა, რომ ყველა პერსონალს გავლილი აქვს აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების 66 საათიანი ტრენინგ-მოდული, პირველადი დახმარების და კურიკულუმის ტრენინგი, გადამზადებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების იდენტიფიცირების მექანიზმების საკითხით.

გაერთიანების მმართველმა განმარტა, რომ ჯანმრთელობის ცნობის და მშობელთან გასაუბრების საფუძველზე ხდება სპეციალური საჭიროების იდენტიფიცირება. გაერთიანებას ასევე ჰყავს შესაბამისი სპეციალისტი.

საბჭოს წევრი, ნინო ლაბარტყავა, დაინტერესდა მოკლე და გრძელვადიანი გეგმებითა და ინდივიდუალიზაციის საკითხით.

გაერთიანების მთავარმა სპეციალისტმა სასწავლო აღმზრდელობით დარგში (მეთოდისტი) განმარტა, რომ დამტკიცებულია ყოველკვირეული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები. მოკლევადიან გეგმებში არ იყო გათვალისწინებული ინდივიდუალიზაციის საკითხი, თუმცა

დღეის მდგომარეობით აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილია. საინფორმაციო შეხვედრებია გათვალისწინებული აღმზრდელებთან, სტრუქტურული ერთეულის უფროსებთან, მეთოდისტებთან, ფსიქოლოგებთან, მეტყველების თერაპევტთან.
საბჭოს წევრმა, ნინო გიუაშვილმა, აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით დიდი მასშტაბის სამუშაო არის ჩასატარებელი. სერიოზული გამოწვევაა ის, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელს არ აქვს ცენტრალური გათბობის სისტემა და შეშის ღუმელებით ხდება გათბობა. საბჭოს წევრი დაინტერესდა მუნიციპალიტეტის მზაობისა და გეგმების საკითხით აღნიშნულ გამოწვევებთან მიმართებით.
გაერთიანების მმართველმა განმარტა, რომ საავტორიზაციო ბაღებიდან მხოლოდ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N12 საბავშვო ბაღს არ აქვს ცენტრალური გათბობის სისტემა და აუცილებლად შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში მითითებულ ვადაზე ადრე მოხდება ხარვეზის აღმოფხვრა, მომდევნო სეზონამდე.
ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა დაწესებულების სტატუსის მიერ მოთხოვნილი და ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდებულ ბავშვთა ზღვრულ რაოდენობაზე.
გაერთიანების მმართველმა აღნიშნა, რომ იდენტიფიცირებული ხარვეზები გამოსწორდება, ხელშეკრულებით იქნება აყვანილი შესაბამისი კადრები. ბავშვთა ზღვრული რაოდენობა შერჩეულ იქნა ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო -11:27
დასრულების დრო - 11:29

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N12 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 45-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი- 4

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებას (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N12 საბავშვო ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების

დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 30-ით.

საბჭომ ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 27 სექტემბრისა. ასევე, აღნიშნა, რომ მეორე სტანდარტთან მიმართებით ფიქსირდება ტექნიკური უზუსტობა და ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, მეორე სტანდარტის შეფასება შეიცვალა ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრაწყაროს N18 საბავშვო ბაღი) ავტო რიზაციის საკითხის დამატებითი განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა რომ საბჭოს სხდომას საპატიო მიზეზის გამო ვეღარ ესწრებოდა საბჭოს წევრი, ნათელა ლურსმანაშვილი. შემდგომ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო ბენდელიანმა. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრაწყაროს N18 საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 11 და 12 ივლისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1.ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში“; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა “თამაში”. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 40. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების სტატუსის მაძიებელს შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 30 ბავშვისთვის. ასევე, ექსპერტმა აღნიშნა რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ფიქსირდება ტექნიკური

ხარვეზი, კერძოდ, მოთხოვნილი ადგილების ზღვრული რაოდენობის გრაფაში მითითებულია 45, ნაცვლად - 40-სა.
ექსპერტმა, ნინო ბენდელიანმა, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მეორე სტანდარტში შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“. ხოლო მესამე და მეოთხე სტანდარტებში შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის აშენების თარიღითა და ჯგუფში აღმზრდელისა და აღმზრდელ-პედაგოგის რაოდენობის საკითხით.
გაერთიანების მმართველმა განმარტა, რომ შენობა აშენდა 2016 წელს. ჯგუფში არის ორი აღმზრდელი, რომელიც გადამზადებულია აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების 66 საათიანი ტრენინგ-მოდულით, აღნიშნული ტრენინგ-მოდულით ასევე გადამზადებულია სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა მუნიციპალიტეტის ბავშვის უფლებების დაცვის სამსახურთან დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თანამშრომლობის საკითხით.
გაერთიანების მმართველმა დაადასტურა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის ბავშვის უფლებების დაცვის სამსახურთან. ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციას იცნობს ყველა თანამშრომელი.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა წყალმომარაგების საკითხით.
გაერთიანების მმართველმა განმარტა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი უზრუნველყოფილია ცენტრალური წყალმომარაგების სისტემით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო -11:40
დასრულების დრო - 11:43

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრაწყაროს N18 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 45-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებას (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრაწყაროს N18 საბავშვო ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 30-ით.

საბჭომ ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 27 სექტემბრისა.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის N33 საბავშვო ბაღი) ავტ ორიზაციის საკითხის დამატებითი განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, სალომე აბდალაძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის N33 საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 07 და 08 ივლისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და

განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1.ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში". სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 85. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების სტატუსის მაძიებელს შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 45 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, სალომე აბდალაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", მეორე სტანდარტში შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან". ხოლო მესამე და მეოთხე სტანდარტებში შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს".
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა დაწესებულების სტატუსის მიერ მოთხოვნილი და ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდებულ ბავშვთა ზღვრულ რაოდენობაზე.
გაერთიანების მმართველმა აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში არის სამი ჯგუფი და ინფრასტრუქტურა იძლევა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიერ მოთხოვნილ ბავშვთა ზღვრული რაოდენობისთვის სააღმზრდელო პროცესის განხორციელების საშუალებას.
გაერთიანების მმართველმა დამატებით აღნიშნა, რომ აღნიშნულ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში არის ცენტრალური გათბობა და კანალიზაციის სისტემა, საჭირო ტრენინგებით გადამზადებულია ყველა თანამშრომელი. ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული გამოწვევები აღმოიფხვრება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სამრეცხაოს ფანჯრები განთავსებული იყო ჯგუფური ოთახისა და საძინებელი ოთახის ფანჯრების ქვეშ.
გაერთიანების მმართველმა განმარტა, რომ აღმოიფხვრება აღნიშნული ხარვეზი, შეიცვლება სამრეცხაოს ადგილმდებარეობა.
საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ის შეკითხვები, რომლებიც გაერთიანების ჭრილში უკვე დაისვა და გაეცა პასუხები, ყველა ბაღთან მიმართებით აღარ განმეორდება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო -11:51
დასრულების დრო - 11:55

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის N33 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 85-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებას (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საქარის N33 საბავშვო ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 45-ით.

საბჭომ ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 27 სექტემბრისა.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სექტორი ქვედა საქარა, სოფელი ჭალატყე, N35-ე საბავშვო ბაღი) ავტორიზაციის საკითხის დამატებითი განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, სალომე აბდალაძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სექტორი ქვედა საქარა, სოფელი ჭალატყე, N35-ე საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 11 და 12 ივლისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1.ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში“; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 40. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების სტატუსის მაძიებელს შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 30 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, სალომე აბდალაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მეორე სტანდარტში შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“. ხოლო მესამე და მეოთხე სტანდარტებში შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ გამოთქმული ვარაუდით, რომელიც შეეხებოდა დაწესებულების სტატუსის მაძიებელში იატაკისა და კედლის დაშორებას, რის მიზეზიც შენობის ქვეშ მდინარის შესაძლო არსებობა შეიძლება იყოს.
გაერთიანების მმართველმა განმარტა, რომ როდესაც პირველად იქნა შემჩნეული აღნიშნული ფაქტი, სპეციალისტებმა შეამოწმეს და დაიდო დასკვნა, რომ ბავშვთა უსაფრთხოებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. თუმცა, ამჟამად, მოთხოვნილია გეოლოგიური დასკვნაც.
მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ადგილზე ვიზიტით თავადაც დაათვალიერე შენობა, ყურადღება მიექცა აღნიშნულ ხარვეზს და მიუხედავად იმისა, რომ ამ მოცემულობით სიცოცხლისთვის საშიშ საფრთხეს არ წარმოადგენს, მოწვეულნი არიან გეოლოგები და დაიდება სპეციალური დასკვნა.
საბჭოს წევრი, ნინო ლაბარტყავა დაინტერესდა სენსორული ოთახის გამოყენების სიხშირის საკითხით.
სტრუქტურული ერთეულის უფროსმა განმარტა, რომ თითქმის ყოველდღე ხდება აღნიშნული ოთახის გამოყენება ყველა ბავშვისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო -12:08
დასრულების დრო - 12:12

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სექტორი ქვედა საქარა, სოფელი ჭალატყე, N35-ე საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 40-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 4

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებას (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სექტორი ქვედა საქარა, სოფელი ჭალატყე, N35-ე საბავშვო ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 30-ით.

საბჭომ ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 27 სექტემბრისა. ასევე, ავტორიზაციის საბჭომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სექტორი ქვედა საქარა, სოფელი ჭალატყე, N35-ე საბავშვო ბაღს სენსორულ ოთახთან დაკავშირებით რეკომენდაციის სახით განუსაზღვრა - შეიმუშაონ იმგვარი მექანიზმი, რომ რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომი იყოს არა მხოლოდ სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის, ასევე სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვისაც.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N37-ე საბავშვო ბაღი) ა ვტორიზაციის საკითხის დამატებითი განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, სალომე აბდალაძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N37-ე საბავშვო ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 09 და 10 ივლისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1.ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში". სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 40. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულების სტატუსის მაძიებელს შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 30 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, სალომე აბდალაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან", მეორე სტანდარტში შეფასდა, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან". ხოლო მესამე და მეოთხე სტანდარტებში შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს".
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა შენობის აშენების თარიღითა და აღმზრდელისა და აღმზრდელ-პედაგოგის საკითხით.
გაერთიანების მმართველმა განმარტა, რომ შენობა ჩაიბარეს 2021 წელს. ოთხი აღმზრდელია დაწესებულების სტატუსის მაძიებელში და საჭირო კადრების შევსება შტატის დაშვებამდე მოხდება ხელშეკრულებების გაფორმების გზით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო -12:26
დასრულების დრო - 12:29

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N37-ე საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 40-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებას (ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა საზანოს N37-ე საბავშვო ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 40-ით, იმ პირობის დაცვით, რომ შესაბამისი ადამიანური რესურსის უზრუნველყოფამდე დაწესებულებამ განახორციელოს მომსახურება 30 ბავშვისთვის.

საბჭომ ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 27 სექტემბრისა.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (ყვარლის N2 ბაგა - ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი, მარინე ბაიდაური. შემდგომ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა

დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თავმჯდომარემ, ნინო ავსაჯანიშვილმა. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების, ყვარლის №2 ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 28 და 29 ივლისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეულია შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში" 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 115. აქვე, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 58 ბავშვისთვის.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ავსაჯანიშვილმა ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებებზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა შინაარსობრივ მხარეს სტანდარტების მიხედვით, ასევე, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველი ფოტო - მასალა.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის საკითხით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ბაღში ჯამურად 4 აღმზრდელი და 4 აღმზრდელის თანაშემწეა, შესაბამისად, 30 ბავშვზე ყავდათ ერთი აღმზრდელი და ერთი აღმზრდელის თანაშემწე, აქედან ერთ-ერთი აღმზრდელის კვალიფიკაცია არ აკმაყოფილებს მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილ მოთხოვნებს.
გაერთიანების დირექტორმა განმარტა, რომ 2026 წლის იანვრიდან აღმზრდელის თანაშემწეებს შეეცვლებათ შტატი და გადავლენ აღმზრდელის პოზიციაზე, რადგან მათი კომპეტენცია და კვალიფიკაცია უკვე შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს. თითოეულ ჯგუფში იანვრიდან იქნება ორ აღმზრდელი. სულ 8 აღმზრდელი.
საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი, დაინტერესდა ნარჩენების გატანის საკითხით.
სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმების ექსპერტმა, იანა გიორგაძემ, განმარტა, რომ ნაგვის შემკრები კონტეინერი შენობაში არის განთავსებული, გარე სივრცეში, კერძოდ, ეზოში - მსგავსი კონტეინერი არ არის, მხოლოდ სარგებლობენ ეზოს გარეთ არსებული ნაგვის შემკრები

კონტეინერით, რომელიც მუნიციპალიტეტს ეკუთვნის. საჭიროა ეზოშიც იყოს განთავსებული, რადგან მუნიციპალიტეტის ნაგავშემკრები მდებარეობს ეზოს გარეთ, ცოტა მოშორებით.
საბჭოს წევრი, ნატო შეროზია, დაინტერესდა მე-4 სტანდარტის 4.6 კომპონენტთან მიმართებით გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით რა გეგმა აქვს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბავშვის უსაფრთხოებაზე ხშირად ტარდება ტრენინგები, შემდეგ კი გაზიარება ხდება მშობლებთანაც.
საბჭოს თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა შესაბამისობის გეგმაზე, სადაც აღნიშნულია, რომ დაწესებულებას არ აქვს კომპიუტერული ტექნიკა, ინტერნეტი და დანა-ჩანგალი. აქვე დაინტერესდა თუ რა ვადაში იგეგმება ხარვეზის აღმოფხვრა.
გაერთიანების დირექტორმა განმარტა, რომ კომპიუტერული ტექნიკითა და პრინტერით უკვე უზრუნველყოფილია დაწესებულების სტატუსის მაძიებელი, ინტერნეტით უზრუნველყოფაც მალე იგეგმება. დანა-ჩანგლებთან და ჭურჭელთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ მარაგი შევსებულია, მხოლოდ დანები არ აქვთ და ამ პრობლემასაც იანვარში სრულად მოაგვარებენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 13:14 სთ.
დასრულების დრო - 13:28 სთ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდისდაწესებულებათა გაერთიანების (ყვარლის N2 ბაგა - ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 115-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას (ყვარლის მუნიციპალიტეტი, ყვარლის N2 ბაგა-ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 115-ით, იმ პირობის დაცვით, რომ შესაბამისი რესურსების და ინვენტარის შეძენამდე დაწესებულების სტატუსის მაძიებელი განახორციელებს საქმიანობას 58 ბავშვისთვის.

საბჭომ ავტორიზაციის III და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 5 ნოემბრისა.

მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება (ყვარლის N3 ბაგა-ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თავმჯდომარემ, ნინო ავსაჯანიშვილმა. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების, ყვარლის №3 ბაგა-ბაღში
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 30 და 31 ივლისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეულია შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში" 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობაა 136. აქვე, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია მხოლოდ 73 ბავშვისთვის.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ავსაჯანიშვილმა ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებებზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილია ექსპერტთა ჯგუფის

დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა შინაარსობრივ მხარეს სტანდარტების მიხედვით, ასევე, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველი ფოტო - მასალა.

საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი, დაინტერესდა თუ არის დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ბიუჯეტში შესაბამისი რაოდენობის თანხა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესრულებისათვს.
გაერთიანების დირექტორმა განმარტა, რომ გასულ სასწავლო წელს დაიგეგმა ახალი კვების ნორმის სისტემა, რომელსაც დიდი თანხების მობილიზება დასჭირდა. მომავალი წლის იანვრიდან ხელახლა გადაიხედება ბიუჯეტი, რადგან დამატებითი თანხები არის საჭირო ავტორიზაციის სტანდარტების სრულყოფილად განხორციელებისათვის. გაერთიანებამ უკვე წარადგინა ახალი განაცხადი. მუნიციპალიტეტი სრულად ითვალისწინებს და მზად არის გაერთიანებას მხარში დაუდგეს.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა ჯგუფების დღევანდელი მდგომარეობით და აღმზრდელთა რაოდენობით.
ბაღის მენეჯერმა განმარტა, რომ დღევანდელი ბაღში ირიცხება 109 ბავშვი, სადაც 2-3 წლიანთა ჯგუფში ბავშვთა რაოდენობაა 11, 3-4 წლიანებში - 13, 4-5 წლიანებში - 32 ბავშვი, 5-6 წლიანების ორი ჯგუფი ჰყავთ: შერეული და წმინდა ასაკობრივი, სადაც შერეულ ჯგუფში 38 ბავშვია, ხოლო წმინდა ასაკობრივში - 15. ყველა ჯგუფს ერთნაირად ემსახურება 1 აღმზრდელი, 1 აღმზრდელის თანაშემწე და ძიძა - დამლაგებელი.
საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ 109 ბავშვისა და აღმზრდელების თანაფარდობა არ არის რელევანტური, შერეულ ასაკობრივ ჯგუფში 38 ბავშვი კანონთან შეუსაბამოა, ამიტომ ბაღს ოთახების რესურსი და საკმარისი ინვენტარი თუ არ გააჩნია 109 ბავშვის მომსახურებისთვის, ჯგუფების გადაწყობა გახდება საჭირო და ინვენტარის დამატება. აქვე, დაინტერესდა თუ იყვნენ საგანმანათლებლო პერსონალი საბაზისო ტრენინგ მოდულებით გადამზადებული, რადგან აღმზრდელების დამატება საჭიროებას მოითხოვს.
გაერთიანების დირექტორმა განმარტა, რომ ფართი საკმარისად აქვთ, ხოლო ახალი ინვენტარი სტანდარტის შესაბამისად იანვარში შემოვა. საგანმანათლებლო პერსონალთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დიდი ყურადღება ექცევა კვალიფიკაციის ამაღლებას, 3 აღმზრდელმა უკვე გაიარა 66 საათიანი ტრენინგ-მოდულების ციკლი.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ბაღში სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების არსებობით და ასევე, თუ აქვთ მათ შესაძლებლობა 6 წლის შემდეგ გაიხანგრძლივონ სასწავლო პროცესი, კანონის მიხედვით.
გაერთიანების დირექტორმა უპასუხა, რომ ბაღში ჰყავდათ სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვი და შეფასება/იდენტიფიკაციაში დაეხმარათ ყვარლის მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტაციის ცენტრი. ბაღში დარჩენასთან დაკავშირებით კი, თუ მშობელი წარუდგენს გაერთიანებას სამედიცინო ფორმა 100-ს და ფორმა 50-ს, მის საფუძველზე სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებს 6 წლის შემდეგაც ეძლევათ უფლება დარჩნენ ბაღში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 13:48

დასრულების დრო - 13:55

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (ყვარლის N3 ბაგა - ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 136-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას (ყვარლის მუნიციპალიტეტი, ყვარლის N3 ბაგა-ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 136-ით, იმ პირობის დაცვით, რომ შესაბამისი რესურსების და ინვენტარის შეძენამდე დაწესებულების სტატუსის მაძიებელი განახორციელებს საქმიანობას 73 ბავშვისთვის.

საბჭომ ავტორიზაციის III და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 5 ნოემბრისა.

მეცხრე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (შილდის N2 ბაგა--ბაღი) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომას საპატიო მიზეზის გამო ვეღარ ესწრებოდა საბჭოს წევრი, ნატო შეროზია. შემდგომ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად,

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თავმჯდომარემ, ნინო ავსაჯანიშვილმა. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების, შილდის №2 ბაგა-ბაღში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 01 და 02 აგვისტოს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეულია შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში" 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობაა 85. აქვე, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია მხოლოდ 43 ბავშვისთვის.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ავსაჯანიშვილმა ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებებზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ, მეორე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე და მეოთხე სტანდარტი შეფასდა როგორც „ მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა შინაარსობრივ მხარეს სტანდარტების მიხედვით, ასევე, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველი ფოტო - მასალა.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა მეოთხე სტანდარტის შეუსაბამობით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ტექნიკური ხარვეზია, მეოთხე სტანდარტის საბოლოო შეფასება, საქართველოს მთავრობის N76 დადგენილების საფუძველზე, არის „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
საბჭოს თავმჯდომარემ ითხოვა ბაღში ბავშვთა რაოდენობის დაზუსტება საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დღევანდელი მონაცემებით დაწესებულების სტატუსის მაძიებელში 3 ასაკობრივი ჯგუფია: 2-3 წლიანებში 12 ბავშვი ირიცხება, შერეულ 3-5 წლიანების ჯგუფში 25 ბავშვი, ხოლო 5-6 წლიანებში 15 ბავშვი. სულ 52 ბავშვს ემსახურება 3 აღმზრდელი, 2 აღმზრდელის თანაშემწე.
საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ კანონის შესაბამისად 3-5 წლიანთა შერეულ ჯგუფში 25 ბავშვის ყოფნა დაუშვებელია, ბაღმა სასურველია დაყოს 3-4 და 4-5 წლიანთა ჯგუფებად, შესაბამისად მასწავლებლის დამატებაც გახდება საჭირო. ამასთან, დაინტერესდა, ინფრასტრუქტურა თუ იძლევა ოთახების დამატების საშუალებას.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინფრასტრუქტურა იძლევა საშუალებას ჯგუფური ოთახების დამატებისა და ბავშვების გაყოფას წლოვანების მიხედვით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა სპეციალური მასწავლებლის კვალიფიკაციით, რადგან ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღინიშნა რომ არ შეესაბამებოდა დადგენილ მოთხოვნებს.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სპეციალურ მასწავლებელს არ აქვს უმაღლესი განათლება, მაგრამ 126 საათიანი სპეციალური მასწავლებლის ტრენინგი გაიარა რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სპეციალური პედაგოგის კვალიფიკაცია უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ასევე, დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა უნდა იზრუნოს საგანმანათლებლო პერსონალისთვის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციის ამაღლებაზე.
საბჭოს წევრმა, ნინო გიუაშვილმა, მიმართა გაერთიანებას, რომ ბაღებს პრობლემები აქვთ სანიტარია ჰიგიენაში, საჩრდილობების არ არსებობაში, ადაპტირებულ სანიტარულ კვანძებზე, მზისგან დამცავ საშუალებებზე, ნაგავ შემკრებ კონტეინერებზე, დეზისენქცია - დერატიზაციაზე და ა.შ. ეს მიუთითებს სისტემურ მიდგომაზე. ეს მიდგომები უნდა შეიცვალოს, მოცემულობა უნდა გაუმჯობესდეს. ავტორიზაციის სტანდარტები დასაცავი და გასათვალისწინებელია.
გაერთიანების დირექტორმა უპასუხა, რომ გაერთიანება მუნიციპალიტეტთან ერთად მზად არის უმოკლეს ვადაში აღმოფხვრან ხარვეზები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:21
დასრულების დრო - 14:27

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების (შილდის N2 ბაგა - ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 85-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას (შილდის N2 ბაგა-ბაღი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა

განესაზღვროს 85-ით, იმ პირობის დაცვით, რომ შესაბამისი რესურსების და ინვენტარის შეძენამდე დაწესებულების სტატუსის მაძიებელი განახორციელებს საქმიანობას 43 ბავშვისთვის.

საბჭომ ავტორიზაციის III და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 5 ნოემბრისა.

მეათე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების (სოფელი ბოდბის №23 ფილიალის) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა რომ საპატიო მიზეზის გამო საბჭოს სხდომას ვეღარ ესწრებოდა საბჭოს წევრი, თეა ბაქრაძე. ასევე, საკითხის განხილვას ვერ ესწრებოდა საბჭოს წევრი, ნინო ლაბარტყავა. შემდგომ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარიამ მარიამიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების სოფელი ბოდბის №23 ფილიალში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 30 და 31 ივლისს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული აქვს შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 25. აქვე, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია მხოლოდ 12 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, მარიამ მარიამიძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ და მეორე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“

ხოლო მეოთხე სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ამჟამინდელი მდგომარეობით რამდენი ბავშვი ჰყავს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამ ეტაპზე ჰყავთ 11 ბავშვი.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, დაწესებულების სტატუსის მაძიებელი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადებით თუ ასრულებს სამუშაოებს.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამ ეტაპზე მხოლოდ ნაწილი სამუშაოები აქვთ გაწეული, თუმცა მალევე გამოასწორებენ დარჩენილ ხარვეზებსაც.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, აქვთ თუ არა დაწესებულებას მიმართვა გაკეთებული სახანძრო უსაფრთხოებისთვის.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მიმართვა აქვთ უკვე გაკეთებული, თუმცა დასკვნა არ მიუღიათ ამ ეტაპისთვის.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, აქვთ თუ არა მოწესრიგებული პერსონალის პირადი საქმეები.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ პერსონალის პირადი საქმეები უკვე მოწესრიგებული აქვთ.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა სანიტარული და ჰიგიენური ნორმების მიმართულებით იდენტიფიცირებული ხარვეზების აღმოფხვრის საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლმა აღნიშნა, რომ ნაწილი ხარვეზებისა აღმოფხვრის პროცესშია, ხოლო ნაწილ მათგანზე სამომავლოდ იმუშავებდნენ.
საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვლი, დაინტერესდა საკითხით, რომელიც უკავშირდებოდა ბავშვთა რაოდენობას და შენობის გაფართოებას. დაწესებულება თუ ელოდება ბავშვთა რაოდენობის შემცირებას, ან პირიქით დაწესებულების გაფართოებას. ასევე არის თუ არა სხვა საბავშვო ბაღი მათ ირგვლივ დასახლებაში.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ირგვლივ დასახლებაში მხოლოდ ერთი საბავშვო ბაღია და უშუალოდ სოფელი არის მცირერიცხოვანი.
საბჭოს წევრი, მაკა მაისურაძე დაინტერესდა კვების საკითხით, კერძოდ, ექსპერტმა ნახა თუ არა სურსათის სააგენტოს მიერ გაცემული შესაბამისობის შეფასების აქტი.
ექსპერტმა, თეა კუჭუხიძემ, განმარტა, რომ ადგილზე ვიზიტის დროს მოითხოვეს და დაწესებულების სტატუსის მაძიებელს ჰქონდა წარმოდგენილი აღნიშნული დოკუმენტი.
საბჭოს წევრმა, მაკა მაისურაძემ, აღნიშნა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ფილიალებთან მიმართებით, ექსპერტის მიერ გაცემული რეკომენდაცია "კვების უსაფრთხოების კონტროლის მიზნით აუცილებელია მზა კერძის ნიმუშები დღის განმავლობაში მზა კერძის გაცემის დროის შესაბამისად იქნას შენახული ქილაში და გაცივებულ იქნას თავდაუხურავად, შემდეგ კი თავდახურულ მდგომარეობაში შენახულ იქნას მაცივარში, გაცემის პერიოდულობის დაცვით და არა მთელი დღის ნიმუშები დღის ბოლოს ერთად. რათა ზემოათაღწერილი წესით დაცულ იქნას აღების წესი, შენახვის ტემპერატურა და ხანგრძლივობა" სცდება ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნას და წარმოადგენს სურსათის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:20
დასრულების დრო - 15:46

ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების (სოფელი ბოდბის №23 ფილიალის)ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 25-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 3
წინააღმდეგი - 5

საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე ლეჟავამ, განმარტა რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული გარემოებებისა და საბჭოს სხდომაზე დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე საბჭო მიიჩნევს, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობაში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიმართულებით მდგომარეობა სახიფათოა, როგორც ბავშვებისათვის, ასევე მომუშავე პერსონალისათვის. შესაბამისად, საბჭოს გადაწყვეტილებით, მეოთხე სტანდარტის კომპონენტის 4.5 "სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები" შეფასება შეიცვალა შეფასებით - "არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან", აქედან გამომდინარე, ავტორიზაციის მეოთხე სტანდარტის შეფასება განისაზღვრა შეფასებით - "არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან".

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, 26-ე მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებას (სოფელი ბოდბის №23 ფილიალს) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

მეთერთმეტე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების (სოფელ ჯუგაანის №11 ფილიალის) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომას კვლავ შემოუერთდა საბჭოს წევრი, ნინო ლაბარტყავა. შემდგომ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს

წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარიამ მარიამიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებ**ის** სოფელ ჯუგაანის №11 ფილიალში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 1 და 2 აგვისტოს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული აქვს შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ . სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 61. აქვე, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია მხოლოდ 43 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, მარიამ მარიამიძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მეორე და მესამე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ხოლო მეოთხე სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა, როგორც „ არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებთან“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარემ ითხოვა მეოთხე სტანდარტის შეუსაბამობასთან დაკავშირებით უფრო მეტი განმარტება.
ექსპერტმა, მარიამ თურმანაულმა, განმარტა, რომ ძირითადი პრობლემა არის პასუხისმგებელი პირების არ ყოფნა გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით. არ ქონდათ წარმოდგენილი ავზების წყლის ნიმუში. ასევე, რადგანაც წყალი გრაფიკით მიეწოდებათ, არ ჰქონდათ გაწერილი ბავშვებს როგორ მიაწოდებდნენ სასმელ წყალს. ასევე, აქვთ სამშენებლო ქვიშა, რომელიც ოთახშია განთავსებული. შეუსაბამობაა ასევე ქიმიური საშუალებების შენახვასთან დაკავშირებით, დაწესებულებას არ აქვს გამოყოფილი ოთახი ან კარადა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, შესაბამისობის გეგმაში გაწერილი საკითხებიდან დეკემბრის ბოლომდე თუ რა აქვს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს უკვე მოწესრიგებული.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი საკითხებიდან ამ დროისთვის ნაწილობრივაა შესრულებული სამუშაოები.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, აქვთ თუ არა დაწესებულებას მიმართვა გაკეთებული ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისთვის.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მიმართვა აქვთ უკვე გაკეთებული, თუმცა დასკვნა არ მიუღიათ ამ ეტაპისთვის.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, აქვთ თუ არა მოწესრიგებული პერსონალის პირადი საქმეები.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ პერსონალის პირადი საქმეები უკვე მოწესრიგებული აქვთ.
საბჭოს წევრი, მაკა მაისურაძე, დაინტერესდა კვების საკითხით, კერძოდ, ექსპერტმა ნახა თუ არა სურსათის სააგენტოს მიერ გაცემული შესაბამისობის შეფასების აქტი.
ექსპერტმა, თეა კუჭუხიძემ, განმარტა, რომ მოითხოვეს და დაწესებულებას ჰქონდა წარმოდგენილი აღნიშნული დოკუმენტი.
საბჭოს წევრი, ნინო ლაბარტყავა, დაინტერესდა, აღმზრდელ-პედაგოგის ტრენინგ-მოდულით თუ არიან გადამზადებულნი პერსონალი.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ ყავთ 66 აღმზრდელი და ყველას აქვს გავლილი აღნიშნული ტრენინგი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:20
დასრულების დრო - 17:00

ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების (სოფელ ჯუგაანის №11 ფილიალი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 61-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და

შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებას(სოფელ ჯუგაანის №11 ფილიალი) 4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 43-ით.

საბჭომ ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 30 აპრილისა, ასევე, არაუგვიანეს 2026 წლის 30 აპრილისა დაწესებულებამ უზრუნველყოს 4.5 კრიტერიუმის მოთხოვნების შესრულება და მათი მტკიცებულებების წარმოდგენა.

მეთორმეტე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების (სოფელ ბოდბისხევის №9 საბავშვო ბაღის) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა, ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარიამ მარიამიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებ**ის** სოფელ ბოდბისხევის №9 საბავშვო ბაღის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 3 და 4 აგვისტოს. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული აქვს შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში"; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 60. აქვე, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია მხოლოდ 43 ბავშვისთვის.

ექსპერტმა, მარიამ მარიამიძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება პირველ სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მეორე და მესამე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ ხოლო მეოთხე სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა, როგორც „ ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებთან“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, აღმზრდელ-პედაგოგების გადამზადების საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ პერსონალი სრულად გადამზადებულია 66 საათიანი მოდულით.
საბჭოს წევრი, ნინო ლაბარტყავა, დაინტერესდა ჯგუფური ოთახებისა და ეზოს სივრცის მოწყობის საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეზოს სივრცე ნაწილობრივ არის მოწყობილი, ხოლო ჯგუფის სივრცეები სრულადაა მოწყობილი კურიკულუმის შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:32
დასრულების დრო - 17:38

ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებ**ის** (სოფელ ბოდბისხევის №9 საბავშვო ბაღი) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 60-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების

მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებას(სოფელ ბოდბისხევის №9 საბავშვო ბაღს)4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 43-ით.

საბჭომ ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 30 აპრილისა, ასევე, არაუგვიანეს 2026 წლის 30 აპრილისა დაწესებულებამ უზრუნველყოს 4.5 კრიტერიუმის მოთხოვნების შესრულება და მათი მტკიცებულებების წარმოდგენა.

მეცამეტე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის (N2 განყოფილება) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომას საპატიო მიზეზის გამო ვეღარ ესწრებოდა საბჭოს წევრი, ნინო გიუაშვილი. შემდგომ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N2 განყოფილებაშიავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 02 და 03 სექტემბერს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა - „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა

იყო 140. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 140 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ და მეორე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მესამე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე ლეჟავა, დაინტერესდა თუ დაიწყო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა შეუსაბამობებთან მიმართებით წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული აქტივობები.
ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის დირექტორმა, მაკა წერეთელმა, აღნიშნა, რომ მომავალი წლის ბიუჯეტი უკვე განსაზღვრულია და შეთანხმებულია მუნიციპალიტეტის მერიასთან. ასევე, მენიუ უკვე შემუშავებულია, რომელშიც გათვალისწინებულია ექსპერტთა რეკომენდაციები, გამოცხადებულია საჭირო ტენდერი და არასაკმარის რესურსთან მიმართებითაც გაწერილია შესაბამისი ბიუჯეტი.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენად იყო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პერსონალი გადამზადებული.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პერსონალი გადამზადებულია 66 საათიანი ტრენინგით, ასევე, გავლილი აქვთ ინკლუზიური განათლებისა და კურიკულუმის ტრენინგებიც.
საბჭოს წევრი, ნანა ათუაშვილი, დაინტერესდა, თუ იყვნენ გადამზადებულნი პერსონალი ბავშვთა ძალადობის კუთხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან აქვთ შემოთავაზება და იგეგმება იანვარში აღიშნული ტრენინგების გავლა.
საბჭოს წევრი, რონა პერტია, დაინტერესდა პერსონალის შერჩევის საკითხით.
გაერთიანების ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პერსონალის შერჩევა პირდაპირი გასაუბრებით ხდება, დაწესებულების სტატუსის მაძიებელს აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლითაც ხელმძღვანელობს შერჩევის ეტაპზე.
საბჭოს წევრი, თამარ ჩიკვილაძე, დაინტერესდა აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის რაოდენობით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელს ჰყავს შესაბამისი რაოდენობის აღმზრდელი.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა აღმზრდელ-პედაგოგის შტატის არარსებობის მიზეზით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამასთან დაკავშირებული გეგმა უკვე არსებობს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 18:37
დასრულების დრო - 18:41

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის (N2 განყოფილება) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 140-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღს (N 2 განყოფილება)4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 140-ით.

საბჭომ ავტორიზაციის II, III და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 01 აგვისტოსი.

მეთოთხმეტე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის (N5 განყოფილება) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N 5 განყოფილებაშიავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 04 და 05 სექტემბერს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა - „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 100. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 85 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ და მეორე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მესამე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენად იყო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პერსონალი გადამზადებული.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პერსონალი გადამზადებულია 66 საათიანი ტრენინგით, ასევე, გავლილი აქვთ ინკლუზიური განათლებისა და კურიკულუმის ტრენინგებიც.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ დაწესებულების სტატუსის მაძიებელს თუ აქვს სპეციალური მასწავლებლის შტატი.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შტატი კი არსებობს, მაგრამ რთულია ასეთი კადრის მოძებნა, მიუხედავად იმისა რომ ვაკანსია გამოცხადებული ჰქონდათ. ამიტომ, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობს სპეციალური ასისტენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 18:52
დასრულების დრო - 18:57

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის (N5 განყოფილება) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 100-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის" 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღს (N5 განყოფილება)4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 85-ით.

საბჭომ ავტორიზაციის II, III და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 01 აგვისტოსი.

მეთხუთმეტე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის (N3 განყოფილება) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ცირა ბრეგვაძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N 3 განყოფილებაშიავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 02 და 03 სექტემბერს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა - „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 130. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 130 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, ცირა ბრეგვაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ და მეორე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მესამე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რა გამოვლენილი ხარვეზი იყო უკვე აღმოფხვრილი დაწესებულების სტატუსის მაძიებელში.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დამატებულია ორი აღმზრდელი და თანაფარდობა უკვე სრულად შესაბამისია კანონისა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 19:25
დასრულების დრო - 19:29

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის (N3 განყოფილება) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 130-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღს (N3 განყოფილება)4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 130-ით.

საბჭომ ავტორიზაციის II, III და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 01 აგვისტოსი.

მეთექვსმეტე საკითხის ზეპირი მოსმენა:

ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის (N12 განყოფილება) ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. ასევე, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდათ თვითაცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ არ ჰქონდათ თვითაცილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ცირა ბრეგვაძემ. მან განაცხადა, რომ ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის N12 განყოფილებაშიავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 04 და 05 სექტემბერს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს განახორციელოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა, ქართულ ენაზე. პროგრამის განსახორციელებლად შერჩეული ჰქონდა შემდეგი კურიკულუმები: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში 2-დან 5 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა - „თამაში“. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა

იყო 80. აქვე, ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი აღზრდისა და განათლების მომსახურება გაეწია 58 ბავშვისთვის.
ექსპერტმა, ცირა ბრეგვაძემ, ისაუბრა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების სტატუსის მაძიებელი პირველ და მეორე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, მესამე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა როგორც „მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო მეოთხე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.
ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების სტატუსის მაძიებლის მიმართ გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, ხოლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელმა დასკვნაში მითითებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელიც მოიცავდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შენობისა და ეზოს ამსახველ ფოტო - მასალას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ეზოს ტერიტორიის სიმცირით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეზოს მომიჯნავედ არის მოედანი და მიმდინარეობს მერიასთან მოლაპარაკებები იჯარით აღებასთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ჭურჭლის არასაკმარისი რაოდენობის საკითხით.
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს უკვე მოგვარებულია და იანვრიდან დაწესებულების სტატუსის მაძიებელი სრულად აღჭურვილი იქნება ჭურჭლით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები დაწესებულების სტატუსის მაძიებლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 19:40
დასრულების დრო - 19:46

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღის (N12 განყოფილება) ავტორიზაციისა და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობის 80-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-14 პუნქტის, მე-15 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-18 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების

მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლის 1-ლი-მე-5 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2, მე-5 - მე-8 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ ჭიათურის გაერთიანებული საბავშვო ბაღს (N12 განყოფილება)4 წლის ვადით მიენიჭოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი და ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 80-ით.

საბჭომ ავტორიზაციის II, III და IV სტანდარტებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულებასთან მიმართებით დაწესებულებას მონიტორინგი განუსაზღვრა არაუგვიანეს 2027 წლის 01 აგვისტოსი.

დამტკიცებული დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 19:50 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩიკვილაძე თამარ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლეჟავა ეკატერინე